პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ყოველ დღიური ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები: ცალკე ხელის მომწერთათვის 1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ. 6 თვ—1 მ. 70 კ, 12 თვ.—3 მ. 20 კ.

წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა: 1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ. 6 თვით— 1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.

განცხ. ფასი 1 გვ. —80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

116 (1011) | პარასკევი, 28 მაისი 1926 წ. | 116 (1111)

# წითელ არმიელო, სერიოზულად და მუყაითად მოეკიდე სამხედრო სწავლებას

საბანაკო პერიოდი—პრაქტიკულ საბრძოლო მომზადების მომენტია. აქ წითელი მებრძოლი ეჩვევა მას, თუ როგორ უნდა მოიხმაროს მან თავი ბრძოლის დროს, ომის პირობებში. ამიტომაც საბანაკო სამხედრო სწავლებას ყოველი წითელ არმიელი დიდი სერიოზულობით და ყურადღებით უნდა მოეპყრას. არც ერთი მნიშვნელოვანი დრო ტყუილად არ უნდა დაიკარგოს და საზაფხულო სწავლების პროგრამა თავიდან ბოლომდი განვლილ უნდა იქნას წარმატებით. აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი გარემოება.

ზევით ჩვენ ვსთქვით, რომ წითელ არმიელმა უნდა მიიღოს საბრძოლო მომზადება პრაქტიკაზე, ე. ი. მან უნდა პრაქტიკულად გაეცნოს მას, თუ როგორ უნდა გადარბენა, შენიღბვა, საზვერავად წასვლა, მტრის თვალთვალი და სხვა ასეთები. აქ შესაძლებელია დაურჩეს შემდეგ უარყოფით მოვლენას ადგილი. მაგ. ზოგიერთი წითელ არმიელი ყოველივე ამას შეასრულებს, მაგრამ უხალისოთ, ულაზათოდ.

ის იტყვის—მტერი ხომ არ არის ეხლა, სულ ერთი არაა სად შევინიღბები და ამოირჩევს სრულიად გამოუსადეგარ ადგილს შენიღბვისათვის. ან მაგალითად წითელ არმიელს გაგზავნიან დასაზვერავად, ის კი მიწვება ბალახზე ანდა ვინმეს ბოსტანში გადიპარება, თავის უფროსის ბრძანების შესრულების ნაცვლად. ცხადია ასეთი მოპყრობა სამხედრო სწავლებისადმი ყოვლად დაუშვებელია.

აქედანვე უნდა მიექცეს ყურადღება **სამხედრო სწავლების ხარისხს.**

მარტო ბრძანების შესრულება არ კმარა, საჭიროა ის შეასრულო ხალისიანად, სწორად, დაკვირვებით. საბანაკო სწავლების დროს უნდა იმეცადინო ისე, თითქოს მართლადაც ომის პირობებში იმყოფებოდე.

მხოლოდ ასეთი ბეჯითი, მუყაითი, ენერგიული სწავლა მოიტანს ნაყოფს. ვინც ეხლა კარგად იმეცადინებს, ის ომშიაც კარგად იმოქმედებს და ჩინებულად მოიხმარს თავს.

სწავლა უნდა ეხლა და არა ომის დროს. მაშინ ცოდნის შეძენაზე ზედმეტია ფიქრი. ცოდნა ეხლა უნდა შეიძინო, ხოლო ნამდვილი ბრძოლის დროს კი გამოიყენო.

ამიტომაც ვინც ეხლა სერიოზულად არ იმეცადინებს, გულგრილად მოეპყრობა სამხედრო სწავლებას, ითაღლითებს და იზარმაცებს, ომის დროს თავს ვერ მოიხმარს და კიდეც წააგებს.

ამასთანავე თითეულ წითელ მებრძოლმა მტკიცედ უნდა დაისახოს მიზნად, მუყაითი, ენერგიული სამხედრო სწავლით კარგად დახელოვნდეს სამხედრო საქმეში და საფუძვლიანი საბრძოლო მომზადება მიიღოს.

# რუმინელი ჟანდარმი ბესარაბიის შესახებ

**წიგნი ძალადობასა და ჩაგვრაზე**

1918 წელს ბესარაბია ხელში ჩაიგდეს რუმინეთის ბანკირებმა. ამას წინად რვა წელი შესრულდა ამ ამბის შემდეგ. წლის თავისთვის რუმინეთის საიდუმლო პოლიციის მთავარ ინსპექტორმა გამოსცა წიგნი შემდეგი სახელწოდებით: „**მეამბოხეთა მოძრაობა ბესარაბიაში**“. აქ ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბესარაბიამ სიხარულით მიიღო რუმინეთის ხელისუფლება, მხოლოდ ბოლშევიკების ხრიკები მთელს საქმეს აფუჭებენო.

8 წლის განმავლობაში ბესარაბიაში მოხდა გლეხთა 68 აჯანყება და აჯანყებისთვის რუმინეთის სასამართლომ 15 ათასი კაცი გაასამართლა. რუმინეთის სისასტიკეს პოლიციელი ამართლებს იმით, რომ საჭირო იყო „აზრის გაწმენდა მავნე მიკრობებისაგან“, მოსპობა „კომუნისტების მიერ გავრცელებულ ხმების“ და სხვა.

წიგნს დართული აქვს მრავალი საბუთი და ფოტ. სურათები, რომლებიდანაც აშკარად სჩანს, თუ რა საშინელ საქმეებს ჩადიოდენ და როგორ ბატონობდენ რუმინელები ბესარაბიაში. წიგნის პირველ ფურცლებზე ავტორი ცდილობს ახსნას ის მიზეზები, თუ რატომ ხდებოდა ბესარაბიაში მუდმივი აჯანყებები და ჰპოულობს 11 მიზეზს. ესენია შემდეგი:

ხალხის საერთო სიძულვილი რუმინელების მიმართ.

გლეხთა ძლიერი მოძრაობა ბესარაბიის დამოუკიდებლობისათვის.

ბესარაბიის მეურნეობის დანგრევა. მოსახლეობის გაღარიბება და მუდმივი შიმშილი.

მიწის ჩამორთმევა ბოლშევიკობაში შემჩნეულ გლეხებზე.

„მიწის კანონმა არ დააკმაყოფილა გლეხობა“—ამბობს ხუზარესკუ.

გადასახადების აუტანელი სიმძიმე.

რუმინელების მხრივ მფარველობა სპეკულიანტებისა, რომლებიც ყვლეფენ გლეხობას.

ფასიან ქაღალდების გაუქმება, რომლებიც მოსახლეობას ჰქონდა და კოოპერაციის დანგრევა.

არა რუმინელ სკოლების დახურვა. მოსახლეობის დევნა სარწმუნოების ნიადაგზე.

ბესარაბიულ ექიმების, მასწავლებლების, მოხელეების, ვექილებისა და საზოგადოებრივ მოღვაწეების შეცვლა რუმინელებით.

ეროვნებათა დევნა—შევიწროება.

გარდა ამისა, ხუზარესკუ აშკარად ამბობს, რომ ბესარაბიის მოსახლეობაში დიდი სურვილია დაბრუნდენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

ყველა ეს საბუთები შეკრებილია არა კომუნისტების მიერ. ისინი დაწერილია ჟანდარმის მიერ, რომელსაც თავისი წიგნით სურდა დაემტკიცებია მკაცრი პოლიტიკის აუცილებელი საჭიროება ბესარაბიაში.

მაგრამ სულ წინააღმდეგი გამოვიდა: ამ წიგნით მან დაამტკიცა აუცილებლობა ბესარაბიის გათავისუფლებისა რუმინეთის თავადებისა და მემამულეების უღლისაგან.

„კრ. ვ“

ვ. ს—უ.

# ინგლისის პრესა ზეიმობს გაფიცვის დამარცხებას

## მოსალოდნელია საფრანგეთის მთა-მადნის მუშათა გაფიცვა

**აბდ—ელ—ქერიმი დანებდა ფრანგებს**

## დახმარება გაფიცულებს

კომუნალურ და შავ მუშათა კავშირმა დაადგინა დახმარება გაუწიონ მთა-მადნის მუშებს.

ინგლისის საკოოპერაციო ყრილობამ დაადგინა დაარსოს ცენტრალურ საკოოპერაციო ფონდი, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს მთა-მადნის მუშათა რაიონებში მყოფ კოოპერატივებს.

## ბურჟუაზია ზეიმობს.

ინგლისის ყოველკვირეული ჟურნალები ერთსულოვნად გამოდიან საყოველთაო გაფიცვის შეფასებაში. მათი აზრით სახელმწიფო წესებმა და პარლამენტმა გაიმარჯვა, ხოლო ბალდუინი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეა.

## საფრანგეთის მთა-მადნის მუშათა თანაგრძნობის კამპანია.

საფრანგეთის მთამადნელ მუშათა რევოლიუციონური პროფკავშირები გაძლიერებულ კამპანიას აწარმოებენ ნახშირის რაიონებში ინგლისის მუშათა დასახმარებლად, აწყობენ მრავალრიცხოვან მიტინგებს და აგროვებენ შემოწირულებებს.

## საფრანგეთის მთა-მადნის მუშები ემზადებიან გაფიცვისთვის

საფრანგეთის მთა-მადნის მუშათა მდგომარეობა თანდათან უარესდება. შემთანხმებელ პროფკავშირთ პლენუმი იძულებული გახდა მიეღო რეზოლიუცია სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ.

პლენუმი მოითხოვდა, რათა ეს საკითხი მოგვარებულიყო 25 მაისამდი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის საყოველთაო გაფიცვით იმუქრება.

## სისხლის მღვრელი შეტაკება ფილიპინის კუნძულებზე

ფილიპინის კუნძულებზე (აზიაში) პოლიციასა და ადგილობრივ აჯანყებულ მკვიდრთა შორის მოხდა შეტაკება, რის შედეგად მოკლულია 40 აჯანყებული და დაჭრილია მრავალი.

## შიმშილობა ნოვოგრუდის ციხეში

ნოვოგრუდის ციხეში (ჩეხო-სლოვაკია) შიმშილობა გამოაცხადეს 80 პოლიტიკურ პატიმარმა პროტესტის ნიშნად ადმინისტრაციის ძალმომრეობის წინააღმდეგ.

## გადაწყვეტილია იტალიის მუშ. დელეგაციის ჩამოსვლა მოსკოვში

იტალიის კომპარტიის გაზეთმა „უნიტამ“ დაიწყო ხელის მოწერა იტალიის მუშათა დელეგაციის გასაგზავნად მოსკოვში. ხელის მოწერამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მუშურ მასებში.

## ცეცხლი მუკდენის ანგარებში

იაპონიის სააგენტოს ცნობით, 22 მაისს მუკდენში ცეცხლი გაუჩნდა საჰაერო ფლოტის სამმართველოს ანგარებს (ჰაეროპლანის სადგომები). დაიწვა 5 ჰიდროპლანი, 5 ჰაეროპლანი და 6 სამოსწავლო ჰაეროპლანი.

## აბდ-ელ-ქერიმი დანებდა.

ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ აჯანყებულ რიფების ბელადს აბ-დელ-ქერიმის განკარგულებით ქალ. ტარბუნისტში მოყვანილ იქნა ყველა ფრანგი სამხედრო ტყვეები. თვით აბ-დელ-ქერიმი ამ დღეებში გამოცხადდება ფრანგების გამაგრებულ ხაზზე, საიდანაც ის გაგზავნილი იქნება ტაზუში.

# საბჭოთა კავშირში

## საუზრუნველყოფო ხელშეკრულების გეგმა

ფინეთმა, ესტონეთმა და ლატვიამ წარუდგინეს საბჭოთა კავშირს საუზრუნველყოფო ხელშეკრულების გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა დაიდოს ხელშეკრულება ხსენებულ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

## კომუნისტების რაოდენობა სსრკ-ში

სკპ (ბ)-ს ცეკას სტატისტიკურ განყოფილების ცნობით 1926 წლის პირველი აპრილისთვის მთელს საბჭოთა კავშირში ითვლებოდა 31.819 პარტუჯრედი და 1.790 კანდიდატთა ჯგუფები.

კომუნისტების რიცხვი უდრის 1.118.601 კაცს, აქედან 135.289 ქალია და 448.698 კანდიდატი.

## მომჭირნეობის რეჟიმისთვის

**ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ცირკულიარი**

ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ მიმართა სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ სკპ-ს წევრებს და ყველა საკონტროლო კომისიებს შემდეგი ცირკულიარული წერილით:

ყირიმის ოლქის საკონტროლო კომისიის ცნობით, საზაფხულო პერიოდის დაწყებიდანვე აგარაკებზე მრავლად იყრიან თავს რევიზორები, კონტროლიორები, ინსტრუქტორები და სამეურნეო, საკოოპერაციო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაკები, რომლებიც ღებულობენ მივლინებას სამსახურის გამო, ხოლო მივლინება კი არაა გამოწვეული აუცილებლობით. ყველა ეს პირები რჩებიან აგარაკზე თითო და ორი თვეობით, ღებულობენ დღიურს და მივლინების დროსა და ფულს ხარჯავენ პირადი მიზნებისთვის.

ამის გამო ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ზემოაღნიშნულ დაწესებულებების ხელმძღვანელებს—არ დაუშვან მივლინება სააგარაკო რაიონებში, თუ რომ ასეთი აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს. ცეკა წინადადებას იძლევა ყურადღება მიექცეს ამა ცირკულიარის ასრულებას და პასუხი მოეთხოვოს მის დამრღვევთ.

# აზერბაიჯანში

## სკოლებისა და საავადმყოფოების აგება

განჯის მაზრას საბიუჯეტო თანხიდან მიეცა 32.000 მ. სკოლების ასაგებათ მაზრაში და 60.000 მანეთი საავადმყოფოს ასაგებად ქ. განჯაში.

# ბრძოლა მომჭირნეობისათვის

## ესეც ეკონომიაა,

მე-4 ლეგიონი.

მე-4 ლეგიონის შტაბში ადგილი აქვს ერთ უთავბოლობას. მიცემულ პაკეტების შესრულებას მეტის მეტად აგვიანდება.

აი—მაგალითიც: ამავე ლეგიონის მეორე ათასეულის მეოთხე ასეულში შეცდომით გამოწვეულია ტერნაწილში, ერთი რკინისგზის მოსამსახურე, რომელიც თანახმად № 2432 ბრძანებისა გაწვეული უნდა ყოფილიყო 1 აგვისტოსათვის თბილისში.

ჯარის კაცმა 17 მაისს მისცა პაკეტი ასის თავს სათანადო პირადობის მოწმობით და საბუთებით. პაკეტმა ასეულიდან შტაბამდე როგორც იქნა მიაღწია 3 დღეს (50 საჟენითაა დაცილებული), კანცელარიიდან კი ჯერაც არ წაღებულა პაკეტი შტაბის უფროსთან.

ჯარის კაცს კი უხდება ცდა და ზედმეტი ხარჯების გაწევა, როგორც პირადათ მას, ისე ნაწილსაც.

ასეთ „კანცელიარშჩინას" და უმომჭირნეობას ადგილი აღარ უნდა ექნეს მომავალში.

ქიმუნჯი.

# ადგილობრივ აპარატის გამოკვლევა

აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა კომისარიატი შეუდგა ადგილობრივ აპარატის გამოკვლევას. ადგილებს დაევზავნა მიწერილობა საგრძნობლად შეამცირონ მივლინებები, საკანცელარიო, სატელეგრაფო და აგრეთვე ზედნართი ხარჯები და სხვა.

# დახმარება სამაზრო აღმშენებლობას.

ადგილობრივ მეურნეობის მთავარ სამმართველომ მიიღო ზომები, რათა სამაზრო აღმასკომებს ხელი შეუწყოს ადგილობრივ აღმშენებლობის საქმეში.

სამმართველო ადგილებში აგზავნის ტეხნიკურ ძალებს, იძენს საამშენებლო მასალებს და სხვა.

# მასწავლებელი ქალები

თათართა პედაგოგიურმა ტეხნიკუმმა ამ წელში გამოუშვა 40 მასწავლებელი ქალი. ამათ შორის 36 გლეხი ქალია. გასულ წელს ამავე ტეხნიკუმმა გამოუშვა 18 ქალი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ბიურო კოლექტივის საქმიანობა.

1-ლ დივ. საარტილერიო ლეგიონი.

23 მაისს შესდგა ლეგიონის საერთო პარტიული კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება ბიურო კოლექტივის მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა მუშაობაში მთელი რიგი მიღწევებისა.

**1) საორგანიზაციო დარგში.**

ბიურო კოლექტივის თითეული წევრი მიმაგრებული იქმნა, სხვადასხვა ორგანიზაციებზე და წრეებზე—ასე მაგალითად, ზოგი მიმაგრებული იქმნა ლ. კ. კ. უჯრედზე, ზოგი კიდევ პარტ-განათლების, სკოლის გარეშე მუშაობის და სხვა. ბიურო კოლექტივის წევრების სიმცირის და ხშირათ ზოგიერთი წევრების ავათმყოფობის მიუხედავათ, მან მაინც შესძლო 100 პროც.-ით გეგმიური მუშაობის წარმოება, ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციებში.

**2) ყველა უჯრედის მდივნები წითელ არმიელებია**

კომკავშირის უჯრედების მუშაობა ნაწილში მეტათ დამაკმაყოფილებელია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ამდენ ხანს უჯრედების მდივნებათ პოლიტხელები ითვლებოდენ, ახლა კი ყველა უჯრედების მდივნები წითელ არმიელებია. ამნაირად ბიურო კოლექტივმა შესძლო აქტიური კომკავშირელი წითელ არმიელების მომზადება.

**3) ხელმძღვანელობა კომუჯრედზე.**

კარგ ხელმძღვანელობას უწევდა ბიურო კოლექტივი პარტუჯრედებს. პარტუჯრედების მდივნები წითელი არმიელებია. მათ იმდენი გამოცდილება არ აქვთ, რომ შესძლონ საკუთარი ძალღონით მუშაობის წარმოება. ამ თვალსაზრისით კი აუცილებელი შეიქმნა ბიურო კოლექტივის წევრების უჯრედებზე მიმაგრება და მათი მუშაობაში ხელმძღვანელობის გაწევა.

**4) პარტიული განათლების დარგში.**

ბიურო კოლექტივმა დიდი ყურადღება მიაქცია პარტიულ განათლების საქმეს. ამ მიზნით მან პირველათ მოახდინა უჯრედების წევრთა პარტიული განათლების შემოწმება. შემდეგ კი მოუმზადებელი ამხანაგები მიამაგრა საკავშირო სკოლებს, ხოლო აქტიური კომკავშირელები გაერთიანა 1—საფეხურის პარტ-სკოლებში. მეცადინეობაზე დასწრება კარგია და თან შეთვისებაც განვლილი მასალის, დამაკმაყოფილებელია.

ტ. მამალაძე.

# სამხედრო სწავლება განაკში

## ხელის გრანატის ტყორცნა.

რა მოეთხოვება გრანატის მტყორცნელს?

უნდა შეეძლოს სწრაფი სროლა ზედიზედ და, რაც მთავარია, მარჯვედ მოხვედრება მიზანში.

თუ გრანატის მტყორცნელი გამოცდილია, ყველა ჩამოთვლილ პირობას ადვილად აასრულებს. მაგრამ გრანატის კარგი მტყორცნელისთვის საჭიროა ტყორცნის ყველა ხერხის ცოდნა.

ასეთი ხერხი სამია:

პირველი—ეს არის გრანატის ტყორცნა მხოლოდ ხელისა და ნიდაყვის მოძრაობით. მეორე—ტყორცნა მაღლა აგდებით და მესამე—ტყორცნა გამართულ ხელით.

იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება მსროლელი, ტყორცნა შეიძლება ფეხდგომით, დაჩოქით, დაწოლით და სირბილით.

გრანატის გატყორცნა ფეხდგომით შეიძლება ყოველნაირად. დაჩოქებულს შეუძლია გასტყორცნოს პირველი და მეორე ხერხით, ხოლო წოლის დროს შეიძლება გატყორცნილ იქნას მხოლოდ გამართულ ხელით.

პირველი ხერხით გრანატის გატყორცნის დროს—გატყორცნის მთელი ძალა სწარმოებ[ს] მთელი სხეულით. ჯერ უნდ[ა] გაიქნიო მარჯვენა ხელი, მარჯვენა ფეხი უნდა გასდგა უკან, ხოლო შემდეგ უნდა ლონივრად გააქანო მარჯვენა ფეხ[ი] წინ. ასე გატყორცნილი გრანატა მიდის 20—25 მეტრზე.

მეორე ხერხი მდგომარეობ[ს] იმაში, რომ მსროლელი ა[ს]ტყორცნის გრანატას მარჯვენ[ა] ხელით მაღლა და წინ. გატყორცნის ძალა გამოდის ი[და]ყვიდან, რომელსაც იძლევ[ა] მარჯვენა ხელი. მარჯვენა ფეხი ისევ უკან რჩება. გატყორცნის ასეთი ხერხი იძლევა სა[უ]კეთესო შედეგებს, მაგრა[მ] მოითხოვს დიდ სივრცეს გ[ა]ქანებისთვის და მარჯვენა ხელი[ს] მუდმივ ვარჯიშს მოძრაობაში—უკან, მაღლა და წინ.

მესამე ხერხი—გამართულ[ი] ხელით ტყორცნა—იხმარებ[ა] უმთავრესად სირბილში და წო[]ლით გატყორცნის დროს. ა[მ დროს] ხელი უნდა წაიღო ბუნებრი[]ვად უკან და აქედან მენჯ[ის] ახლოს—მაღლა და წინ.

სანგრიდან გრანატის ტყორცნა სწარმოებს გამართულ[ი] ხელით, რომელიც უნდა წაი[]ღო განზე, მხრების სიმაღ[]ლეზე.

# თუ გაქვს აირმსპობი,—აირის ნუ გეშინია

## როგორ უნდა იხმარო ინგლისური აირმსპობი.

ინგლისური აირმსპობი (ნიღაბი) შერჩეულ უნდა იქნას ისე, რომ ის ზომაზე მოუვიდეს მსროლელს თავზე. თუ რომ დამამაგრებელი მატერიის ზოლი გრძელია, ის შემოკლებულ უნდა იქნას ინგლისურ ქინძისთავის, ან გადაკერვის საშუალებით. აირმსპობის თავზე მორგება წინასწარ უნდა სწარმოებდეს, რათა საბრძოლო პირობებში ხელი არ შეეშალოს მეომარს.

გარდა ამისა, აირმსპობის გამოყენების წინ გამოცდილ უნდა იქნას სარქველების მუშაობა, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია აირმსპობისთვის. რომ გასინჯულ იქნას ამოსასუნთქი სარქველი, თითი უნდა დაუცო ამოსასუნთქ სარქველს და სინჯო სუნთქვა მილის საშუალებით. თუ რომ ჰაერი გამოდის ჩასასუნთქ სარქველიდან, სჩანს ის გაფუჭებულია, თუ რომ ჰაერი გამოდის ლბილ სახელოში, აშკარაა, რომ მასში გაჩენილა ჭუჭრუტანები. დაზიანებული სარქველი უნდა გამოიცვალოს, ნახვრეტ[ი] თუ სადმე დაწებილ უნდ[ა] იქნას განსაკუთრებულ წებო[]თი, რომელიც თან აქვს კო[]ლოფში მეომარს.

ამოსასუნთქი სარქველის გასასინჯად ხელის გულით უნდ[ა] დახურო ჩასასუნთქი სარქვე[]ლი და ჰაერი უნდა შეისუნთქო მილის საშუალებით. თუ ამოსასუნთქი სარქველი გაფუჭებულია, ჰაერი არ გამოვა. თუ რომ მილიდან ამოსუნთქვის დროს ჰაერი არ გამო[]დის ამოსასუნთქ სარქველში, სჩანს ის გაფუჭებულია ან დ[ა]დაყრუებულია მიმხმარი ნერწყვით. ამ შემთხვევაში ი[ს] ფრთხილად უნდა გაიწმინდოს.

ამოსასუნთქი სარქველი რომ არ გაიყინოს ზამთარში, უნდ[ა] ჩააწვეთო ორი-სამი წვეთი გლიცერინი ამ სარქველის ჭრილებში წუმწუმის ღეროთი, ან სუფთა ჩხირის საშუალებით. თუ რომ ჩასასუნთქი სარქვე[]ლი გაიყინა, ის უნდა გამოი[]ღო და ყინვა გაალხვო. თვით სარქველს არასდროს არ უნდ[ა] წაუსვა გლიცერინი.

# საქართველოში.

## სასოფლო მეურნეობის აღორძინების გეგმა

უმაღლეს ეკონომიურ საბჭომ დაამტკიცა სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი ხუთ წლიანი გეგმა სასოფლო მეურნეობის აღორძინების გეგმა საქართველოში.

## სახერხი ქარხნების გადატანა

საქართველოს უმაღ. ეკონომიურ საბჭომ დააკმაყოფილა უმაღლეს საბჭოს შუამდგომლობა ზოგიერთ სახერხი ქარხნების გადატანის შესახებ ტფილისიდან-მცხეთაში. ქარხნების გადატანა გამოწვეულია იმით, რომ ზაჰესის დამბა აბრკოლებს ტივების მოძრაობას ტფილისისაკენ.

# მანქანების მიღება ინგლისიდან.

ნოვოროსიისკის ნავთსადგურში შემოვიდა გემი „კურსკი", რომელმაც მოიტანა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და მანქანები აზნავთის დუღაბის ქარხნისთვის. ეს მანქანები დატვირთული იქნა გემზე გაფიცვის დაწყებამდი ინგლისში.

# ტეხნიკური კურსები

ივლისის პირველ რიცხვებში ოზურგეთში გაიხსნება 2 თვიანი ტეხნიკური კურსები 200 მსმენელისთვის. კურსებზე უნდა მომზადებულ იქნას მეტნაწილად საშუალო განათლების მქონე ქალები—აბრეშუმის ფაბრიკაში სამუშაოდ.

# ძირა კოოპერაციის გაერთიანება

ძირა კოოპერაციების გაერთიანების გამო წარმოკავშირი შეუდგა თავის საქმეების ლიკვიდაციას გურიის სხვა და სხვა წერტებში. საქონელი გადაეცემა მომხმარებელ საზოგადოებას.

# ავიაქიმის უჯრედის მუშაობის მეთოდი

საზოგადოება ავიაქიმის მთავარი ამოცანაა:

1) ავიაქიმის უცოდინარობის ლიკვიდაცია მშრომელ მასაში და 2) ავიაქიმიური წარმოების აღორძინება.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მრავალია ავიაქიმ უჯრედები და მათი მუშაობა მიმართულია ზემოაღნიშნულ ამოცანების ასრულებისაკენ; ხოლო უნდა ითქვას, რომ საერთოდ, მეორე ამოცანა უფრო სრულდება და პირველი, საზოგადოებრივ(?) მშრომელი ხალხში ავიაქიმიურ უცოდინარობის ლიკვიდაციის მხრივ ძლიერ ცოტა კეთდება.

ჩვენ არ შეუდგებით ავიაციისა და ქიმიის შესწავლის აუცილებლობის მტკიცებას, ვინაიდან დღეს ყველამ კარგად ვიცით, რომ მომავალი ომი თვითეულ მცხოვრებს ჩააბამს თავის ფერხულში.

ჩვენი ამოცანაა გამოვძებნოთ უჯრედების მუშაობის მეთოდი. ავიაქიმიური უჯრედი წარმოადგენს ავიაციისა და ქიმიის მეგობართა საზოგადოების უჯრედს; აქ ორი წრე შეადგენს მთლიან, განუყრელ უჯრედს.

მეტი ნაყოფიერებისათვის მუშაობაში, უჯრედი იყოფა წრეებად.

წრეს სათავეში უდგას წევრებიდან არჩეული ხელმძღვანელი და მამასახლისი.

მეცადინეობის მეთოდი წრეებში უნდა იქნეს ლაბორატორიული, რათა წრის წევრებმა მეტი აქტივობა გამოიჩინონ. ხელმძღვანელი არის მეცადინეობის სწორი გზით მიმმართველი. თვითეული წრე იმუშავებს თავის სამეცადინეო გეგმას ადგილობრივ პირობების მიხედვით (ქარხანა, ფაბრიკა, დაწესებულება, სოფლისა და ჯარის უჯრედი). განსაზღვრულ პერიოდის შემდეგ, როდესაც წრეები მომზადებულ იქნებიან, მოწვეულ უნდა იქნას ავიაქიმ უჯრედის გაერთიანებული კრება, სადაც ორივე გააკეთებს მოხსენებას—ერთი ავიაციის, მეორე ქიმიის მიღწევებზე, წარმოებაზე—ჩვენში და საზღვარ გარეთ; კრებაზე მონაწილეობას მიიღებენ ყველა წევრები, რის შემდეგ შეიძლება მოხდეს უჯრედის ბიუროს ანგარიში და გადახალისება.

ამრიგად თუ სწორად იქნა დაყენებული უჯრედის მუშაობა, წრეების ხელმძღვანელები და მამასახლისები თავის ადგილას იქნენ, ნაყოფი დიდი იქნება.

უჯრედის გარე მუშაობის შესახებ უნდა ითქვას, რომ ავიაქიმის უჯრედი თუ მუშაობს, ის იკეტება თავის უჯრედში და გარედ არ გადის, თითქო რაღაც საიდუმლოებას აწარმოებდეს. ეს, რა თქმა უნდა, ასე არ უნდა ხდებოდეს. ყოველ ქარხანას, ფაბრიკას, დაწესებულებასა და ჯარის ნაწილებს აქვთ ერთმანეთში და გლეხობასთან კავშირი შეფობის სახით.

ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ავიაქიმ უჯრედის კავშირს საშეფო საზოგადოებასთან. ავიაქიმ უჯრედმა უნდა გამოჰყოს თავის წევრთა რიცხვიდან ერთი წევრი იმისთვის, რომ მან სპეციალურად აწარმოოს მუშაობა ავიაქიმიურ დარგში მის საშეფო სოფელსა და ორგანიზაციაში.

ამ წერილის ამოცანა მისცეს ავიაქიმ უჯრედებს მუშაობის საერთო ფორმულა; ხოლო კონკრეტიზაცია და და მუშაობის ახალი ფორმების გამოძებნა კი თვით უჯრედებს უნდა მიენდოს.

დასასრულ უნდა გვახსოვდეს, რომ უმჯობესია დაისახო მიზნების მცირე რაოდენობა და ასივე პროცენტით შეასრულო, ვიდრე დაისახო ბევრი მიზანი და სანახევროდაც ვერ შეასრულო.

კ. გამრეკლიძე.

# სამხორო'

**თვალყური ადევნე:**

როგორ მიმდინარეობს შენი ნაწილის სამეურნეო ცხოვრება, როგორი სადილი მზადდება, როგორ უვლიან წითელ არმიელები ტანსაცმელს, იარაღს, ფეხსაცმელებს, ხომ არა აქვს სადმე ადგილი ზედმეტ ხარჯებს.

**მოიფიქრე:**

როგორ შეიძლება მოვიმომჭირნოთ ზედმეტი კაპეიკები, რომელი წითელ არმიელი უვლის კარგად სახაზინო ქონებას

**და ყველა ასეთებზე სწერე ჩვენს გაზეთში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცვალებადელები შეუდგენ სწავლებას

## ჩვენი საქმიანობა.

### მე-5 ლეგიონი

**პოლიტ-მეცადინეობა**

ლეგიონი წინასწარ შეუდგა ჯგუფების ხელმძღვანელთა მზადებას. სემინარში ირიცხებოდა 0-მდე მსმენელი. სემინარმა ერთი თვის განმავლობაში მოამზადა შესაფერისი ჯგუფხელები, რომლებიც, დღიდან ახალწვეულთა მოსვლისა შეუდგენ მათ შორის მეცადინეობას. ამჟამად ლეგიონში ითვლება 36 ჯგუფი, რომლებიც გადიან ახალწვეულებთან საზაფხულო პერიოდში შესასწავლ პროგრამას. მეცადინეობა სწარმოებს კითხვა-პასუხის მეთოდით, ზოგიერთ ჯგუფებში კი აქტიური შრომითი მეთოდით.

**სამწყობრო მეცადინეობა**

დიდ ხალისს იწვევს ახალწვეულთა შორის სამხედრო მეცადინეობა. მწყობრში ისინი ხალისიანად დგებიან და ბეჯითად ითვისებენ მეთაურების მიერ მიწოდებულ ცოდნას. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ცოცხლად, „ვაშას" ძახილით იშლებიან და მიეშურებიან ყაზარმისაკენ.

**სპორტიული მეცადინეობა**

დილით ახალწვეულები სწავლობენ თავისუფალ ვარჯიშს და სპორტიულ იარაღებზედაც მეცადინეობენ. ორძელი და ღერძი ისე შეიყვარეს ახალწვეულებმა, რომ თავისუფალ დროსაც ერთი-მეორეს არ აცლიან და ყვირიან.

**სკოლის გარეშე დარგი**

სკოლის გარეშე დარგი დიდ ენერგიას იჩენს ახალწვეულთა შორის მუშაობაში. პირველდაწყებითი, მასიური და საწრეო მუშაობა შესაფერის დონეზე დგას და სავსებით ამართლებს წითელი ჯარში კლუბის ამოცანებს. არმიელები ყოველ თავისუფალ დროს ანდომებენ კლუბში სხვადასხვა სამხედრო და პოლიტიკურ ხასიათის გასართობებს. დრამ-წრეები თავის ნაციონალურს ენებზედ ამზადებენ 'რევოლიუციონურ პიესებს და სდგამენ ყოველ კვირას წარმოდგენებს. ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირი გვაქვს. კლუბს ავტორიტეტი შესაფერისი აქვს.

**ბიბლიოთეკა**

ბიბლიოთეკის მუშაობა გადატანილია ასეულის ლენ-კუთხეებში. კოლექტიური აბონემენტებით წიგნები გაცემულია ასეულებზედ, რომლებსაც აქტიურ ხელმძღვანელობას უწევენ ასეულის ბიბლიოთეკარები. ასეულის ბიბლიოთეკარებს შორის ყოველდღიურად სწარმოებს მეცადინეობა, თვის შუა რიცხვში კი ხდება გაერთიანებული კრება. ბიბლიოთეკას აქვს მჭიდრო კავშირი საშეფო სოფელთან და სამხედრო კუთხეებთან, რომლებსაც აწვდის შესაფერის ლიტერატურას.

ე. დევაძე.

# ბანაკის პირველი დღეები

## ჩვენი საქმიანობა ბანაკად

### 3-ე ლეგიონი

ორი კვირაა, რაც ლეგიონი ბანაკად მოეწყო. წინასწარ გამოგზავნილებმა დაგვახვედრეს მოწყობილი: სასადილო, გზები, წყალი გამოყვანილია მილებით, საკარვე ორმოები და ლოგინები, რომლებზედაც მოსვლის თანავე გადავაკარით კარვები და მოვეწყვეთ. გავაკეთეთ ბანაკის ხაზები დამტვრეული აგურით, მოვაწყვეთ ლენკუთხეები, სადაც სისტემატიურად მოდის გაზეთები; მოვაწყვეთ პურის საცხობი, გავაკეთეთ ბიბლიოთეკა თვით ლეგიონში, საიდანაც ყველას ექნება საშვალება, რომ ისარგებლოს, როგორც წიგნებით, ისე ჟურნალ-გაზეთებითაც.

მართალია ჯერ-ჯერობით გვაკლია სახელმძღვანელო წიგნები პროგრამის დამიხედვით, მაგრამ ამაზედაც მიღებულია ზომები და იმედია, რომ მალე შევიძენთ.

24 მაისიდან დაიწყო ნაწილში სამხედრო და პოლიტმეცადინეობა. ახმაურდა კლუბთან არსებული წრეები, დაიწყეს მუშაობა საზაფხულო პროგრამის დამიხედვით; სამხკორთა წრემ უკვე მოამზადა ერთი კედლის გაზეთი, სადაც გაშუქებულია ბანაკად ცხოვრება და საკავშირო მუშაობა სამოქალაქო ორგანიზაციებსა და გლეხობასთან.

როგორც სამხკორთა წრე, ისე სხვა წრეებიც მუშაობენ და გადიან საზაფხულო პროგრამას.

ლენკუთხეებში არსებულ ბირთვებმაც განაახლეს მუშაობა, ტარდება ხმამაღალი კითხვა და სხვა და სხვა თემებზე საუბრები, რომელსაც ხშირად მოსდევს კამათი წითელ არმიელებს შორის და ერკვევიან გაუგებარ საკითხებში.

საერთოდ წითელ არმიელები დიდი სიხალისით ეკიდებიან საზაფხულო მეცადინეობას და კარგათ ითვისებენ. მეცადინეობა მიმდინარეობს დღიური ცხრილის მიხედვით.

ბ. იოსელიანი.

## საბიბლიოთეკო მუშაობა ჩვენთან

(4 ხე ლეგიონი)

ცვალებად შემადგენლობის მოსვლის მოლოდინში სხვა დარგებთან ერთად, ლეგბიბლიოთეკაც შეუდგა სათანადო სამზადისს. რადგან ცვალებადელების მოსვლისთანავე აუცილებელი იყო მუშაობის დაწყება, ამისდა მიხედვით ლეგბიბლიოთეკასთან მოწყობილ იქნა ბიბლიოთეკართა სემინარი, სადაც ლეგბიბგამგის მიერ გადამზადებულ იქნა კადრ წითელ არმიელებიდან ასეულის მოძრავ ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარები, რომლებიც დარიგებულ იქნენ ყველა ასეულებში სათანადო ლიტერატურით.

ცვალებადელების მოსვლისთანავე ლეგბიბლიოთეკამ გააცხოველა მუშაობა. ბიბლიოთეკარების და თვით ახალწვეულების აქტიურ მონაწილეობით ყოველ ასეულის ლენკუთხეში მოწყობილ იქნა მოძრავი ბიბლიოთეკები.

დღეს მუშაობა ცოცხლად და შეუჩერებლივ მიდის. ყოველ ასეულში გამოყოფილია წერა-კითხვის კარგად მცოდნე წითელ არმიელებისაგან ხმამაღლა მკითხველთა ჯგუფები, რომლებიც ლეგბიბგამგის მითითებით და წასაკითხ მასალის ამორჩევით ატარებენ ყოველ მოხერხებულ თავისუფალ დროს გაზეთებიდან ხმა-მაღლა კითხვას. ბიბლიოთეკარები ახალწვეულების წიგნებით დაინტერესების მიზნით ატარებენ საუბრებს წიგნის და ბიბლიოთეკის შესახებ, რასაც ახალწვეულები გულდასმით უსმენენ. ახლო ხანში მოეწყობა წიგნის დამტარებელთა ჯგუფების მიერ ასეულებში წიგნების დატარება და გაიხსნება ახალწვეულ ცვალებად წ. არმიელებისათვის საბიბლიოთეკო სემინარი.

სამწუხაროდ წარსული წლის ოქტომბრის თვის აქეთ ლეგბიბლიოთეკას არ შეუძენია მცირე ნაწილის გამონაკლისით ქართული წიგნები, რის გამოც ბიბლიოთეკა სუსტობს პოპულიარული, საერთო და პოლიტიკურ დარგის წიგნებით, რომლებსაც ცვალებადელები ძლიერ ეტანებიან. როგორც სჩანს ბიბლიოთეკას თითქმის ერთი წელიწადია არ მიუღია ის ფული, რომელიც ერგება მას წიგნების შესაძენად. ასეთივე მდგომარეობა არის გაზეთების ირგვლივაც. იმ თანხით, რომელიც ეძლევა ბიბლიოთეკას პოლიტგანიდან შეუძლებელი ხდება გაზეთების სათანადო რიცხვის გამოწერა.

მიუხედავათ ასეთი ნაკლოვანებისა საბიბლიოთეკო მუშაობა ჩვენთან მაინც თავის დონეზე სდგას. საჭიროა მხოლოდ აუცილებლად მიეცეს ლეგბიბლიოთეკას თავისი შტატი, რაც უფრო გაადრმავებს მუშაობას.

სამხკორი ი—ა.

## კლუბი ენერგიულად მუშაობს.

### მე-5 ლეგიონი.

ამ ორი კვირის განმავლობაში ლეგიონის კლუბმა გამართა 2 წარმოდგენა, რაც კარგათ იქნა ჩატარებული. ჩამოყალიბდა აქტიური ამხანაგების შემადგენლობიდან დრამწრის ჯგუფები ქართული და რუსული, რომლებიც ამზადებენ პიესებს დასადგმელათ.

ცვალებადელებისთვის ხშირად იმართება კლუბში აგრეთვე კინო-სურათების ჩვენება, რაც ძლიერ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მათში.

ოგანოვი.

## ცვალებად წით.-არმიელებთან მეცადინეობა.

### მე-5 ლეგ. მე-3 ასეული

ჩვენი ასეულის ცვალებად წითელ არმიელებთან მეცადინეობას დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მაგრამ ეხლავე დიდ შედეგებს იძლევა.

მთელი ცვალებადელები დიდი სიხარულით ეგებებიან ყოველ დღიურ მეცადინეობას. ერთი მათგანი არ აკლდება მეცადინეობას და არც დეზერტირობას აქვს ადგილი. ძლიერ დაინტერესებულნი არიან როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ ცოდნის შეძენით.

მათი ასეთი დაინტერესება სამსახურით მიეწერება კიდევ მეთაურების საქციელს, რომლებიც თავისუფალ დროსაც მათთან ატარებენ და ესაუბრებიან მათ სხვა და სხვა საკითხებზე.

მათ აღზრდის საქმეში მეტი ყურადღება აქვს მიქცეული, რომ ცვალებადელები უფრო მეტად დავაინტერესოთ ცოდნის შეძენით. იმედი გვაქვს, რომ მალე მოვახდენთ, მათ როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური უცოდინარობის ლიკვიდაციას.

ნ. გიორგობიანი.

## მოხუცი პეტრე.

პეტრემ დიდი ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა ქალაქში წასვლა.

თორმეტი წელიწადია, რაც უკანასკნელად იყო თბილისში, მას შემდეგ არა ჰქონია შემთხვევა ჩამოსულიყო ქალაქად. ეხლა კი მისი უფროსი ვაჟი კოტე ყაზარმაშია.

შვილსაც ნახავს და ქალაქსაც დაათვალიერებს. სოფელში ამბობენ, რომ ქალაქი ძალიან გამოიცვალა, ახალი წესებია, ახალი შენობები და ახალი ხალხიო.

— დედაკაცო,—უთხრა ერთ მშვენიერ დღეს პეტრემ თავის ცოლს სიდოს—მომიმზადე ტანისამოსი და ცოტაოდენი რამე, ქალაქს მივდივარ ბიჭის სანახავად.

— ნეტავი საქმე გამოგლევია, ი ბიჭი უშენოდაც კარგათ არის, აბა ამ სიბერის დროს სად გაქვს ქალაქის თავი, ან კონკა გაგიტანს, ან აი უცხენო ფაიტონი. შენ ქერქში იყავი, ისა სჯობია.

— დარდი ნუ გაქვს დედაკაცო. შენა გგონია, რა ქალაქს არ ვიცნობ, თუ რა არის. მანამ შენზე ჯვარს დავიწერავდი, ბარე წელიწადში სამჯერ ჩავდიოდი ქალაქად.

——

ბევრი იდავეს მოხუცებულებმა და ბოლოს მაინც პეტრემ თავისი გაიტანა. მეორე დღეს, დილით, ჩაიცვა სუფთა ტანისამოსი, ხელთ აიღო იფნის სახრე, მხარზე გადიკიდა ხურჯინი საჩუქრებით შვილისთვის, დაარიგა სახლში დარჩენილები, რომ მამულში არაფერი გაეფუჭებინათ და გაუდგა გზას.

სადგურამდე სულ ხუთიოდე ვერსი იყო. ეს მანძილი პეტრემ მალე დასძლია.

მატარებელიც მალე გამოჩნდა.

ჯერ ისევ ბინდ-ბუნდი იყო, რომ პეტრემ უკვე თავი ამოჰყო თბილისში.

— ძმობილო, აქ გაჩერება არ შეიძლება, იქით მიბრძანდით—მიმართა პეტრეს სადგურის ქუჩაზე მდგომმა მილიციონერმა და უჩვენა პეტრეს მოსაცდელი ადგილი.

— კარგი, შენი ჭირიმე, მაგაზე არ გაწყინებ, აქაც შეიძლება დგომა.

პეტრე აზრზე ვერ მოსულა. მართალი უთქვამთ სოფელში, ქალაქი ძალზე გამოცვლილა. იმის დროს ეს სადგურის შენობა არ იყო, მაშინ უფრო პატარა სახლი იდგა. მაგრამ ეს ქუჩა საიდან გააჩინეს: ნუ თუ იმოტელა სახლები დაანგრიეს. ჰეი, რა ხალხია ეს ქალაქელები, რას არ მოიგონებენ.

პეტრემ გაიქნია თავი და გასწია რიყისაკენ. იქ მას ძველი ნაცნობი მიკიტანი ჰყავს, წინათ მასთან ჩერდებოდა ხოლმე: პურსა იქა სჭამდა, იქვე იძინებდა.

——

კარლ მარქსის მოედანთან წამოეწია პეტრეს ერთი კახელი გლეხი. გამარჯვება უსურვეს ერთიმეორეს.

— საით მიდიხარ ძმობილო?—ჰკითხა კახელმა პეტრეს.

— რიყეზე, ძმაო, მინდა ღამე გავათიო და ხვალ ჩემი ბიჭი ვინახულო, ჯარშია, ავლაბარზე ცხოვრობს.

— იცი, რა გითხრა ძმობილო, შენ ალბათ დიდი ხანია არა ყოფილხარ ქალაქში, მე წამომყე და გაჩვენებ ღამის გასათევ ადგილს, ეხლა ჩვენ, გლეხებს, ჩვენი საკუთარი სასახლე გვაქვს, მიკიტანთან რა გინდა.

პეტრემ დაუჯერა კახელს.

გლეხის სასახლესთან შეჩერდა, ყოყმანი დაიწყო: ამისთანა დიდებულ სახლში ვინ შემიშვებსო. მაგრამ ეჭვი მალე გაეფანტა, როდესაც დარბაზში დაინახა მრავალი თავისთანა გლეხი. ნაცნობებიც გამოუჩნდნენ, ქვემო—ნიჩბელები.

დაღლილობა დაავიწყდა პეტრეს, ძილიც არ უნდა. ჰა, გიდი ცხოვრება. რა ოთახში მოათავსეს მოხუცი პეტრე, სწორედ ბედზე შეხვდა ი კახელი.

— ამხანაგო, თუ ძილი არ გინდათ, მობრძანდით ქვეით, მუზეუმში.

პეტრე მუზეუმშია: რა არის აქ: მანქანები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, სხვა და სხვა გვარის და ჯიშის ხორბალი, სიმინდი, ბამბა, მატყლი და მრავალი სხვა რამე. ერთი სათვალეებიანი კაცი დასდევს პეტრეს და სხვა გლეხებს და უხსნის ყველაფერს, ეუბნება, თუ როგორ უნდა მოვლა მამულს, როგორ უნდა გაფრთხილება საქონელს.

უსმენს პეტრე და გულში ამბობს: აი ერთი ამისთანა ნაწავლი ყმაწვილი რომ ჩვენ სოფელს მისცა, მაშინ აყვავდება იქაურობაო.

——

იმ ღამეს პეტრემ ნახა კინო-სურათი და დაიძინა თავის ოთახში ტკბილად.

——

მეორე დღეს პეტრე გაუდგა ავლაბრის გზას. მოსძებნა სადაც იმისი შვილი იმყოფებოდა.

— კოტეს მამა მოსულია სოფლიდან, დაუძახეთ კოტეს —გაისმა ყვირილი და მალე მამა და შვილი გადაეხვივნენ ერთმა ნეთს და ტკბილად ჩაჰკოცნეს ერთი-მეორე.

კოტემ დაათვალიერებია მამას ყაზარმა, აჩვენა საწოლი ბინა, პირის საბანი, კლუბი, ბიბლიოთეკა; გააცნო თავისი ასეულის მეთაური და პოლიტხელი.

პეტრეს გაგონილი ჰქონდა ძველათ ყაზარმის ამბები და ის საშინლება, რომელიც სუფევდა ძველ ჯარში.

მაგრამ, ის რაც მან ყაზარმაში იხილა და მოისმინა, ამას კი ვერ წარმოიდგენდა მოხუცი პეტრე.

— რა გიზავთ შვილებო, ეს ამბავი რომ ჩემ დროს ყოფილიყო, ბედნიერი ვიქნებოდი. ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩემი ბიჭი აქ არის. ისწავლეთ შვილებო, ისწავლეთ და დაეხმარეთ ჩვენ ბეჩავ სოფელს.

ეხლა კი ნამდვილათ დავრწმუნდი, რომ ჩვენი ქვეყანა მუშების და გლეხების ქვეყანაა.

——

ორი დღე დარჩა პეტრე თბილისში. ბევრი რამე ინახულა. ბევრი ახალი გაიგონა.

და სოფელში რომ დაბრუნდა, მოუყარა თავი კალოზე მეზობლებს და დიდხანს უამბობდა მათ ქალაქის ამბებს და შვილის ცხოვრებას ყაზარმაში. უსმენდნენ პეტრეს გლეხები.

სავსე,გაბადრული მთვარე ზევიდან დაჰკამკაშებდა.

მისი სხივები ნაზად ეალერსებოდნენ შრომის ოფლით დაღარულ სახეებს,რომლებზედაც აღბეჭდილი იყო იმედი დიდი მომავლის.

ე. ხუციშვილი.

## თანდათან ვეწყობით.

**მე-2 ლეგიონის მე-9 ასეული.**

ლეგიონის ბანაკი თანდათან ეწყობა და ნორმალურ სახეს ღებულობს. ჩვენი ასეული კი განსაკუთრებულად აწარმოებს თავისი კარვების მოწყობის საქმეს. ამ ჟამად ვაწყობთ ლენინის კარავს. ასეულის წითელარმიელთა მთელი შემადგენლობა აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მუშაობაში. ყველას სურს შეიტანოს თავისი წვლილი ამ საყვარელ საქმეში. კარავი მალე მოეწყობა და უზრუნველყოფილი იქნება ბიბლიოთეკისაგან შესაფერი ლიტერატურით.

მეთვალყურე.

## სამხკორთა წრის მეცადინეობა მოისუსტებს.

1-ლი ლეგიონი.

კარგა ხანია რაც ჩვენს ლეგიონში არ ჩატარებულა სამხკორთა წრის მეცადინეობა. ცხრილის მიხედვით კი კვირაში ერთჯერ უნდა ტარდებოდეს მეცადინეობა. ლეგორგანიზატორი ბევრი საქმეებით არის დატვირთული და ვეღარ შესძლო მეცადინეობის სისტემატიურად წარმოება. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს და მოახდინონ ლეგსამხკორთა ორგანიზატორის განტვირთვა, რომ შესძლოს მან ამ დაკისრებული საქმის შესრულება.

შეუძლებელია ამ ჟამად მაინც უყურადღებოთ დარჩეს სამხკორთა წრე, რადგან ბანაკობის შემდეგ უვადო შვებულებაში წავლენ წითელ არმიელები და დაუშვებელია, რომ სათანადო მომზადებით არ იქნენ ისინი გაშვებული. მათ უნდა შესძლონ სოფლკორობა და მუშკორობა, სხვა და სხვა გაზეთებში.

ვ. ჩაგელიშვილი.

## ცვალებადელებთან გაცხოველდა მეცადინეობა.

მე-2 არტლეგიონი.

ლეგიონში უკვე დაიწყო გაცხოველებული მუშაობა ყველა დარგებში. ასწავლიან შაშხანა თოფის ხმარებას, ვარჯიშობენ ხმლებით, ცხენებით და მრავალი სხვა. ახალწვეული ცვალებადელები გულმოდგინეთ ეკიდებიან ყველაფერს და კარგადაც ითვისებენ.

სამხედრო საქმის შემდეგ უმთავრესი ყურადღება ექცევა წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის და პოლიტსაათების ჩატარებას. აქაც დიდ ინტერესს იჩენენ ცვალებადელები.

პ. კახიძე.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

### ყურადღება უნდა მიექცეს

ტფ. სამხედრო ჰოსპიტალის ბიბლიოთეკაში მოდის წერილები, უწყებები და სხვა ავადმყოფ წითელ არმიელების სახელზე, რომელიც დარიგებული უნდა იქნეს აქედან სხვა და სხვა კორპუსებში. მიუხედავად ამისა, თავს არავინ იწუხებს ამ საქმით. წერილები და უწყებები კვირაობით ყრია ბიბლიოთეკაში და არავინ აქცევს ყურადღებას, რომ დარიგებული იქნეს დანიშნულებისამებრ.

ავადმყოფ წითელ არმიელებს კი თავის ფეხით არ შეუძლიათ ბილიოთეკაში მისვლა.

დროა ბოლო მოეღებოდეს ასეთ უყურადღებობას.

ნინუა კუთხელი.

### მოგვეცით ფეხსაცმელები

მე-4 ლეგიონიდან მოვლენილი ვიქენით 2 ცალკე მესანგრე ასეულში, რამოდენიმე წითელ არმიელები.

ნაწილში (4 ლეგ.) არ მოგვცეს ფეხსაცმელები იმ იმედით, რომ მივლენილ ნაწილში მიიღებთო; აქ კი გვეუბნებიან, რომ მეოთხე ლეგიონმა უნდა მოგცეთო. ვერ გავიგეთ ვინ უნდა დაგვაკმაყოფილოს.

საჭიროა ყურადღებას მოგვაქცევდეს მე-4 ლეგიონის სამნეო ნაწილი და მოგვცეს ფეხსაკმელები.

გ. გობეჯიშვილი.

### არა გვაქვს სამრეცხაო

1-ლი ლეგიონი კარგა ხანი რაც ბანაკშია, მაგრამ არ იქნა ვერ მოეწყო სამრეცხაო. მეათე დღეა საცვლები არ გამოგვიცვლია წითელ არმიელებს. დიდი ხანია აგრეთვე, რაც აბანოში არ ვყოფილვართ.

სამნეო მაწილის უფროსმა საჭირო დროზე მიიღოს სათანადო ზომები და მოაგვაროს ეს საქმე.

მურზა.

## სხვადასხვა ამბები

### დასასვენებელი სახლები

აზერბაიჯანის სოციალური დაზღვევა გაგზავნის დასასვენებელ სახლებში 11,500 კაცს. იმ მიზნით, რომ საშუალება მიეცეს მაზრებს ისარგებლონ დასასვენებელი სახლებით, მაზრების დასასვენებელი სახლები განაწილებულ იქნა რაიონებზე.

### წყალსადენი

საქართველოს წყალთა განყოფილებას წინადადება მიეცა გამოიმუშაოს გეგმა წყალსადენების აგებისა აჭარისტანის ზოგიერთ ქალაქებსა და სოფლებში.

### საგარაკო აღმშენებლობა

საქართველოს ს.ს.რ. სავეგმო უწყებამ მიიღო ხარჯთაღრიცხვა საგარაკო აღმშენებლობისთვის 268 ათასი მანეთის რაოდენობით.

### მანქანები აბრეშუმის ქარხნისთვის

ოზურგეთში ეწყობა აბრეშუმის ამოსახვევი ფაბრიკა. იტალიიდან მიღებულია ხუთი ვაგონი მანქანა.

## უცხოეთის არმიებში

### იაპონიის ფლოტის მანევრები.

იაპონიის გაზეთების ცნობით, იაპონიის საზღვაო ფლოტის ცხოვრება ძლიერ გამოცოცხლდა ამ უკანასკნელ ხანებში. დაწყებული იქნა სამოსწავლო ცურვები და მანევრები.

იაპონიის ფლოტი შესდგება სამი ესკადრისაგან, რომელთა შემადგენლობაში შედის სულ 350 გემი. ერთერთი იაპონური გაზეთი იუწყება, რომ 2 ესკადრა 25 გემის შემადგენლობით და ერთი გიდრო ესკადრილიის თანხლებით (ესკადრა შესდგება მხოლოდ კრეისერების, გამანადგურებლების და წყალქვეშა ნავებისაგან) მივიდა 9 აპრილს პორტარტურში. აქ ის უნდა გაყოფილიყო ორ ჯგუფათ და ჩაეტარებიათ მანევრები ჩიფუსა და ცინდაოს ნავთსადგურების შორის.

ესკადრას შეხვდენ პორტარტურში და დაირენეში იაპონიის მოსახლეობის წარმომადგენლები. კლუბებში იაპონიის სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები აკეთებდენ მოხსენებებს 2 ესკადრის დანიშნულების შესახებ, 1905 წელში პორტარტურის ალყის შემორტყმის შესახებ და მრავალი სხვა.

პორტარტურში მოსახლეობისათვის მოწყობილი იქნა პრაქტიკული ხასიათის სროლა არტილერიიდან და ნაღმებიდან.

პორტარტურში და დაირენეში შეჩერების დრო ესკადრამ გამოიყენა პრაქტიკული ვარჯიშობისათვის.

თავისი ამოცანების შესრულების შემდეგ მე-2 ესკადრა გავიდა ზღვაზე 23 აპრილს, სადაც ის სრული შემადგენლობით მიიღებს მონაწილეობას მანევრებში 1-ლი ესკადრის წინააღმდეგ.

## სამხედრო ქრონიკა

### მოსახლეობის სამხედრო მომზადება და პრესა.

სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა, 20 მაისის სხდომაზე დაამტკიცა ზაფხულის პერიოდის სამუშაო გეგმა სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოსი. გეგმაში გათვალისწინებულია სამხედრო საკითხების ვეგმიური დაყენება და სათანადო გაშუქება სამოქალაქო პრესაში. ცენტრალური და ადგილობრივი პრესის სამხედრო განყოფილებებმა უნდა გააშუქონ ადგილობრივ სამხედრო ცოდნის წრეების მუშაობა არა ისე, როგორც ამას ამ ჟამად აქვს ადგილი, არამედ შთაუნერგონ მკითხველთა მასას ქვეყნის თავდაცვის გრძნობა და კერძოთ, გაშუქებული იქნეს მუშურ-გლეხური მასების სამხედრო მომზადების საკითხები.

სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების საბჭომ წინადადება მისცა სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიიღოს ყოველგვარი ზომები სამხედრო განყოფილებების შესაფერი ხელმძღვანელობით უზრუნველყოფისათვის.

ცენტრალურმა საბჭომ აუცილებლად სცნო პოპულიარული სამხედრო ჟურნალის გამოცემის საჭიროება სოფლისა და ქალაქის მასიური მკითხველებისათვის.

სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს წინადადება მიეცა იზრუნოს ასეთი ჟურნალის გამოცემისათვის.

თავის მუშაობის სიმძიმის ცენტრი საგამომცემლო სარედაქციო საბჭომ იქეთკენ უნდა გადაიტანოს, რომ შეეცადოს სამხედრო შინაარსის ლიტერატურის გავრცელებას მოსახლეობაში.

## პასუხი შეკითხვებზე

— სიჭინავას. დღიდან ნაწილში გამოცხადებისა.

— დაჩაგრულს. შეგიძლიათ, მხოლოდ რომელიმე ორგანიზაცი[...] ამ უნდა მიგავლინოთ.

— კალეპანოვს. გზის გაუქმება არ შეუძლია. მიმართედ სა[...]ლხო სასამართლოს.

— შაუმიანცს. ძალით ოთახში შესვლა არ შეგიძლიათ. მო[...]ლაპარაკეთ სახლის პატრონს.

— ნათეურს. მოკლე ვადიანი შვებულებაში წასვლა შეიძლე[...] მხოლოდ განსაკუთრებულ ოჯახურ მიზეზების გამო, რის საბუთ[...]ბი უნდა გქონდეთ ალმასკომიდან.

— ბოჭორიშვილს. წახვალთ ა. წ. შემოდგომაზე. ტანსაცმე[...] მოგეცემათ.

— ჩინჩალაძეს. ავადმყოფობის გამო შვებულებაში ყოფნ[...] დროს ულუფა არ მოგეცემათ (ბრ. №163—25 წ.)

— ამაღლობელს. ტერნაწილში გადარიცხული არ იქნებით.

— მ.—ძეს. რადგან თქვენს ოჯახში არის შრომის უნარია[...] თქვენი და ამიტომ პირველ ხარისხის შეღავათებით სარგებლობა [...] შეგიძლიათ.

— აბ—ძეს. ნამდვილ სამხედრო სამსახურად არ ჩაგეთვლება[...]

— კურსანტს. ავადმყოფობის გამო შვებულებაში ყოფნის დრ[...] ჯამაგირი მოგეცემათ.

— რ—ვას. ბრძანება №30—26 წ. სამხედრო სკოლის კურსა[...]ტებზე არ ვრცელდება.

— მსურველს. გადასვლა ერთი სამხედრო სკოლიდან მეორე[...] შეიძლება საპატიო მიზეზების გამო.

— გარუჩავას. სამხ. სამსახურში ყოფნის განმავლობაში შეგ[...]ძლიათ მიწა გასცეთ იჯარით.

— ბურ—ძეს. თქვენ მიერ მოწერილი ოჯახური მდგომარ[...]ობა არ განთავისუფლებთ სამსახურიდან.

— მექვაბეს. ყანის დასამუშავებლად არ გაგანთავისუფლებ[...]

— კურსანტ ვ-ს. სამხედრო სკოლების კურსანტები ღებულ[...]ბენ ჯამაგირებს იმ თანამდებობის მიხედვით, საიდანაც ისინი იყვნ[...] გაგზავნილი სკოლაში. (ბრძანება №106—26 წ.)

— თელაველს. ზედმეტ მსახურად დარჩენა დამოკიდებულ[...] თქვენ უფროსზე. მიმართედ მას.

— რუისპირელს. ბრძანება №1167—25 წ.

— სოფლელს. არხის გაყვანაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწ[...]ლეობა. ამას პირადი თქვენი ინტერესი მოითხოვს.

## პასუხი სამხკორებს

ფეიქრიშვილს. თქვენი წერილი გაუგებარია. მოიწერეთ უფრო გ[...]რკვევით.

მუკ—ლს. (2 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია არ დაიბეჭდებ[...] აკლია სათანადო დასაბუთება.

აქტორს. (მესანგრეთა) წერილი „წითელ არმიელის ხმა“ გამოუს[...]დეგარია ჩვენთვის. მოიწერეთ ნაწილის ცხოვრებასა და მუშ[...]ობის მიღწევებ—ნაკლულოვანებებზე.

ავლაბრელს. (1-ლი ლეგ.) კორესპონდენცია მეთაურის შესახებ გად[...]ეგზავნა ლეგიონის თავს და კომისარს შესაფერი ზომების[...]თვის.

ჩაგელიშვილს და შიო აზიკუროვს. თქვენი წერილები „დაიწყე[...] მეცადინეობა“ და „ჩვენი ცხოვრებიდან“ არ დაიბეჭდება. ას[...]თი კორესპონდენციები იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთში.

დედისეს. ლექსი „ზავხოზების სიმღერა“ არ გამოდგა.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-4-ხე ლეგიონის 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვთ გა[...]ცხადება კომპარტიაში მიღების შესახებ შემდეგ წ. არმიელებს: 1) კუკულაძე თეოფილე და 2) ქენქაძე არსენის (ორივენი უპარტიონ[...]) თხოულობენ კ. პ. კანდიდატათ მიღებას.

ზემოაღნიშნული პირების პარტიაში მიღების შესახებ თუ ვის[...]მეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ დღიდან გა[...]მოცხადებისა ორი კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის მდივანი ი ვ ა რ დ ა ვ ა.


## რა ღირს 1-ლი ივნისიდან „წითელი არმიელი“!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 35 კაპ.
3 თვით — 90 კ.
6 თვით — 1 მ. 70 კ.
12 თვით — 3 მ 20 კ.

წითელ-არმიელებისათვის კოლექტიური ხელისმოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 30 კაპ.
3 თვით — 80 კ.
6 თვით — 1 მ. 50 კაპ.
12 თვით — 3 მ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის


**დავკარგე** თელავის მაზრის სამხედრო კომისარია[...]ტიდან მოცემული სამხედრო აღრიცხვი[...] ბარათი და უმუშევრობის და დაზღვევის წიგნაკი ვასილ ოთარაშვი[...]ლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.